

კ ვ ა ლ ი

საქონლიტომო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზთაიანი გაზეთი; გამოდის ყოველ კვირა ღამე.
№ 46 **ნ ო ე მ ბ ე რ ი 2 1897 წ.** **№ 46**

შინაარსი: კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზდობა. — სხვა-და-სხვა ამბები. — ქართველი ფრანგების საქმე. — ავაზაკების შესახებ საერო ბაჟი. — პროვინციის ქებათა ქება (დასასრული); ლექსი ვაჟა-ფშაველასი. — განჯის მთარგმნელია სპოგადოების გამო გ. ჯაფარიძისა. — „შეგდობა შენდა“, (დასასრული) ბაკისა. — უში (შავი ქირი); (დასასრული); თარგმანი სე. მდივანისა. — თეატრის განცხადება.

№ X „კვალი“ გამოვიდა და დაფრიგდა ხელის მომწერლებს.

თანახმათ მათი უწმინდესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქია რჩევამ, 17 ოკტომბერს გადასწყვიტა ქართული საყმაწვილო ყურნალი „კვალი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

ვერ დაურიგდა, იმის მავიერათ იმე ხელის მომწერლებს დაურიგდებათ ამ წლის გასულს ახალი პრემია თხზულება გ. წერეთლისა

„ჩვენი ძველი გმირები“
 ნახატებით.

კიტა აბაშიძე და „ჩვენი ახალგაზდობა“

„ცხოვრება და სელოვნება“ (ჩვენი ახალგაზდობა)*
 კიტა აბაშიძისა „მომამე“ 1897 წ. № № 7, 10

„კვალის“ პრემია 1896 წლისა.

რადგან ჩვენგან დამოუკიდებელი მიზნების გამო „კვალის“ პრემიათ დანიშნული რომანია „მშ. მან“ გ. წერეთლისა 1896 წლის ხელის მომწერებს

მ წლის „მომამე“ ოქტომბრის ნომერში ბ. ნ. მ. კიტა აბაშიძემ დაასრულა თავისი ერცელი პუბლიცისტური სტატია „ცხოვრება და სელოვნება“ (ჩვენი ახალგაზდობა). ეს სტატია იმდენათ არ ახასიათებს ჩვენ ახლანდელ ახალგაზდობას, რამდენათაც თვით ჩვენი ცხოვრების ვითარებას ეხება. როგორც ჩანს, ავტორს მართა ამ ახალგაზდობის აწონ-დაწონვა და მისი უძლიერების გამოქვეყნება

ნდომებია, თავის უნებურათ კი სულ სხვა დასკვნა გამოსვლია. ასეთი ამბავი ყოველთვის ემართება იმისთანა მწერალს, რომელიც უმეცლებელ ტემას ეკონფიწება და ძალი კი არ შეწევს შემეშავებისა. აქ მას სწორეთ ის ამბავი მოუდის, რაც ერთ მუშას ავლანობის აღმართზე მოუვიდა. ზურგზე მოკიდებული უმეცლებელი ტრამვა რომ აღმართზე ვერ აიტანა, თეთ ტრამვამ იგი თავდაღმართისკენ დააქანა.

მაგალითისათვის შორს აღარ წავალ. ბ-ნი კიტა აბაშიძე თავის სტატიაში რომლისამე შემთხვევით ცუდ გარემოებაში ჩაყენებული ამხანაგის მოწერილი წიგნებით ახასიათებს მთელ იმის თანამედროვე თაობას. ენახოთ, რამდენათ სამართლიანია ასეთი მეთოდი კვლევისა. ვთქვათ, ერთი ვინმე ჩვენი მეგობართაგანი ავით გახდა და საოცარი ტყვიანობით არის შეგპყრობილი. უეჭველია, რომ იგი მკინე ამ აუტანელი ტყვიანობის სათვალეებით უტკერის მთელ თავის გარემოებას და ქვეყანას. იგი მას მიანია ნაძვილ ჯოჯოხეთათ, უნდა მას მალე განშორდეს, საუკუნოთ გამოეთხოვოს. ის ინატრის სიცივილს, რომ მის მტანჯველ გარემოებას მალე დაშლის თავი, რომ ეს ბუნება თავისი უკუღმართობით მას თვალში აღარ ეჩინებოდეს. მაგრამ საკმაოა, რომ ავადმყოფს ტყვიანობით კვლავ დაუშდეს, კვლავ გამოიმთელდეს და იტყნოს ამფეთქი ძალები სიცოცხლისა, რომ კვლავ აღტაცებაში მრეიდეს და კვლავ შეიყვაროს ის გარემოება, ის ქვეყანა, ის დიდებული და მრავალგვარობით შემეკული ბუნება, რომელიც მას ავადმყოფობაში ჯოჯოხეთით ეჩვენებოდა.

სამშობლოს, სვედით (ТОСКА ИЛИ РОДИНА) გაბორტებული ამხანაგისგან რომ ვინმემ უნუტეშა წერილი მიიღოს და აქედან ის გამოიყვანოს, რომ მთელი საზოგადოება ტრირისა, რა უნდა ეიფქროთ ასეთი მსჯელობის კაცზე? მაგრამ ამასე კიდევ უფრო აჩრებულო დასკვნა ის იქნება, რომ შიო არაგვისპირელი ვინმემ მისდებულებების მიხედვით რაღაც უნუტეშა პესნიმისტათ გამოიყვანოს. ვანა მწერალი, რომელსაც ცუდ მხარე ჩვენი ცხოვრებისა და ცუდი ხასიათების, თანამედროვე ტრავების გამოაჰკავს, მაინც და-მაინც დაძაბუნებულ პესნიმისტათ უნდა ჩაითვალოს? ჩვენი აზრით, თვით ცხოვრების ასეთი ცუდი მხარეების დამახასიათებელი მწერალი მითი ნუტეშობს და იმედ უყეთესი მომავლისა მითი უთაკედება, რომ ის რომათ დარწმუნებულა: ჩემი მწერლობით თანამედროვე ცხოვრება გაუმჯობესდებოდა ერთ წარმატების ნაბიჯს წინ წაღვამსო. ეს რომ ასე არ იყოს, ვანა შიო არაგვისპირელი ახლავ ხელს არ აიღებდა თავის მწერლობაზე? და თუ კი ბ-ნი კიტა აბაშიძე ამდენათ ზერელათ აუასებს თავის თანა-

მედროვე ახალგაზღობას და მწერლობას, როგორც მაგალითათ შიო არაგვისპირელს, დეტუ მეგრელს ჭსხეებს, მაშ ჩვენ რაღათ უნდა დავემდუროთ. თუ კი მას თავის თანამედროვე მწერლების მიმართულება ვერ გაუგია, მესამოცე წლების თაობისა რომ ვერ შესწავლოს, ვინ რა იდეალს მისდევდა, ან რომელი რადარკის იყო, ან მათ შორის ვის რა ორგანიული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ახლანდელ სხვადასხვადასის თაობასთან, რა გასაკვირეელია. ვანა შესაძლებელია იმ ლიტერატურაში შემეკიდრეობითი პროგრესიული მსჯელობა იქმნეს განმარტებული და გამოტყვეული, სადაც შემდეგი თაობა თავის წინაპარი თაობის დეფუსს არ იცნობს და არც უნდა, რომ შესწავლოს, სულიერი კავშირი მასთან გაუწყვეტა და „მე ვარ და ჩემი ნაბაღის“ მეტი არა რწმის რა, იმიტომ რომ წარსულის ცოდნასთან მწყრალათ ბძანდება? კიდევ მაგაშია ჩვენი ლიტერატურის ორგანიული სისუსტე, რომ არ გენდა დაწერილებით შეეცხოთ ვინ, ან რანი ყუდელან ჩვენი წინაპრები, რა ხასიათის ბრობოვა გაუწყვეთ, რა ლიტერატურული მსჯელობა უნდა იდეალის განსახორციელებლათ უმტრევეით თავი, ვის რა უღაპარენია, ვის რა შემოუტანია, ან გაუტანია ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერების წინ მსჯელობაში, ჩვენი ახალგაზღა პუბლიცისტები ყველა ამ თვისებებს მესამოცე წლების მწერლებისას ერთ კლავაბტში ამწყედდენ, გოგონათ, რომ მესამოცე წლების მოღაწენი იდეალისტები ყოფილანოდეს იმაზე დამოკიდებული, ჩვენი ახალგაზღა პუბლიცისტები, როგორ ქიფეზ ჭ მაღლე იქნება, რა უმთაზე მსჯელობას დაიწყებენ: ხან ფრისიული პირვერობით ზეცამდის აჰყავს ისინი, ხან მათ ქვესწეწელში ატარებს და იმათ დროშას ტალახში სერის, ხან შუბლზე ხელს ჩამოიფარებს, ვითომ შორიდან გატკერის, რაღაც შეუნიშნავ კლავებათ ეჩვენებინა ისინი და თან შეძახან: „სად ხართ, ან ვინ ხართ, რომ თქვენი გაცნობა ღირდესო“.

მე მაგონია, ყოველივე ეს იმისგან ჰხდება, რომ მესამოცე წლების ლიტერატურული მოძრაობის კრიტიკა ჯერ არ ყოფილა, იმდროის მოღაწეების ცნობიერათ შეგნება ჯერ არავის მოუსურვებია. და თუ სჯას დაიწყებენ იმ ხანის შესახებ, ყოველსავე იმდროის პირ-ვარაშს, როგორც ჩვევია უცოდინარობას, ერთს ვისმე იმდროის ბუმბერაზს ზურგზე აკიდებენ, სხვებს კი იმათ თვალში რაღაც პაემების ფერი ადევს, რომელიც ის ერთი გმირი, მათი აზრით, ხან აღმა უზამს თორს, ხან დაღობა, ჩვენი ახალგაზღა პუბლიცისტები, აი, ამ ხანას შესახებ სწორათ ყველანი ერთა და იმავე მსჯელობის კლავაბტით არიან აღტურვილნი. იმიტომ ყველანი ერთგვრათ ზერელათ

სჯიან ჩვენი ცხოვრების ვითარებაზე და საქართველოს ერის კულტურულ მოძრაობაზე. იმათ ცხადათ ეტყობათ მოუმზადებლობა და უცოდინარობა იმ საგნისა, რომელიც უნდა იყოს მათთვის „ანაბანასა“ იგივე გამოარკვეული და შეთვისებული. ხალხი ეს გარემოება კი ძალიან აფერხებს ქართული ლიტერატურის ახალი ხანის (პერიოდის) ზედმიწევნით ცოდნას და განვითარების შეგნებას. უამისოთ კი არც ორგანიზული წინსვლელობა ჩვენი თანამედროვე ლიტერატურისა მოხერხებული.

ქართული ლიტერატურის ახალ ხანას ჩვენ იმ პერიოდს ვეწოდებთ, რომელიც საქართველოში ბატონ-ყმობის გათავისუფლების წინა წლებიდან იწყება, სახელად 1861 წლიდან, როდესაც თ. ილ. ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ატება ჯერ კიდევ „ცისკარში“ და გარემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე. ამ წრეში მოამქმელ პირებათ იყვნენ თ. ილ. ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ლემინიტარული დროშის ამფორალეგელი, პეტრე ნაკაშიძე, გ. ყაზიფაგი, ივ. პოლტორაკი, მინ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, დავ. ყიფიანი, გ. ჩიქოვანი, ალ. სავანელი, მიხაილ ჩიკვაძე, ილ. წინამძღვრიშვილი და ე. თულაშვილი, ამთ შემოიღეს კერძო კრებები, სადა კითხულობდნენ რევერატებს და სადა აღტაცებულნი ტბუთი ილ. ჭავჭავაძე თავისი ახალ დაწერილი ლექსების და „გლახის ნაამბის“ თავების კითხვით ამხნეებდა, ასულდგმულებდა თავისი საკუთარ წრეს და წრეს გარეშე არა-ჩვეულებრივ თანაგრძნობას იძენდა საზოგადოებაში. აი, ამ წრემ თ. ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით გამოსცა „საქართველოს მთამბე“ 1863 წელს. ჟურნალში მიიღეს მონაწილეობა მამინდელია საუეთესო მწერლებმა, სხვათა შორის, დიმ. ყიფიანმა, გ. ყაზიფაიანმა, გ. ერისთავმა (გლოხარინმა), მინ. ყიფიანმა, დავ. ყიფიანმა, ვახტანგ თულაშვილმა, გ. ჩიქოვანმა და ივ. ბერიძემ. კორკეტრათ იყო ღმწნაზის ახალი კურს-დამთავრებული პეტრე უშიკაშვილი.

პეტრებურგის სტუდენტობაც აღტაცებით შეხედა ამ ჟურნალის გამოცეას. იქიდან მესამე კურსის სტუდენტმა ე. ლორთქიფანიძემ და პირველი კურსის სტუდენტმა გ. წერეთელმა თავისი ჯერ კიდევ უცდელი კალმის ნაშრომიც მოაწვდინეს ახალ წრეს ლემინიტარულ მიმართულებისას.

„საქართველოს მთამბე“ დამკმა ძველი ბატონყმური დამოკიდებულება, სანტიმეტალურათ შეხედა მან თავის მწერლობაში გლეხის დანაკრულს ბედს ჭემედლეც ესეც გრძნობა ვალიტანა სამშობლოზედაც. სამწუაროთ ამ ცოცხალმა მოძრაობამ მხოლოთ ერთი წელი იი გააზა. საქართველოს მთამბე,

როგორც მამინდელი ახალი თაობის ჟურნალი, გამოდგა დღენაკრული. ერთ წელს შემდეგ მასთან ერთათ დალია სული თვით ილ. ჭავჭავაძის ახალთაობის წრეშიც. ჟურნალის მოსპობასთან ერთათ ილ. ჭავჭავაძის წრეც უტბთ დაიშალა ყველამ მოძებნათათვის შესაფერი სახელმწიფო-სამსახური. თვითონ თ. ილ. ჭავჭავაძე ჯერ ვახდა განსაკუთრებულ საქმეთა მინდობილების მოხელეთ, მერე მოპირებულ შუამავლეთ და ბოლოს მამორიგებულ მოსამართლეთ, პეტრე ნაკაშიძეც აგრეთვე მოიქცა. ივ. პოლტორაკი შევიდა უმთავრეს გამგეობის კანცელარიის მოსამსახურეთ, გ. ჩიქოვანი მოპირებელი შუამავლის კანდიდატთ, სავანელმაც აგრეთვე იმავ თანამდებობაში შერგო თავი. ილ. წინამძღვრიშვილმა, მიხვილ ყიფიანმა და ვახ. თულაშვილმა კი გასამიჯნვე დაწესებულებაში იმოვრეს კარგი ადგილები. რაკ მეთაური და მისი წრე ახალი მოძრაობის მოხერხებულათ დაბინადენ სხვა-და-სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში, ქართველ საზოგადოებაში ისეც ჩამოვარდა ჩვეულებრივი მყოღრიყება. იმ დროს მთავრობის სფერაში დიდი მითქმა-მოთქმა იყო ამ წრის შესახებ, რომლის წევრებსაც მამინდელსაში დეგალაზებათ რისუნებდენ. მაგრამ მათ შესახებ მამინდელმა თვლისის ლებერანტორმა ასე იხებურა: „ლიხა, ევენი საშიშნი არიან, მხოლოთ პირველ სისხლის ჯერამდო“. აი, ზედამოქრიოი ეპიტეტი ამ უცებ აფეთქებული და უცებმე ჩამქრალი მამინდელი ლებერალური ახალგაზღობისა.

თუმცა ერთა წლის მეტათ ევერ იკოცხლა ლემინიტარული წრის ორგანომ, მაგრამ რაკ ამ წრეს ჭქონდა სათქმელი საზოგადობის წინაშე, ყოველი-საეე თქმა მოახერხა და თავის პროგრამაც, ლიტერატურ-პუბლიცისტურ აზრებისა, საესენით და საბოლოოთ გამოხატა. მეტი მას აღერა დარჩენიარა ახალი სათქმელი. ამით მან დაასრულა თავისი პერიოდი მოქმედებას.

ახლა მოკლეთ გამოვარკვიოთ ტუნისების მგზავსათ, რა შეიტანა ამ წრემ ახალი ჩვენ საზოგადოებაში:

I ხელოვნურ ლიტერატურაში მან დაამკვიდრა სანტიმეტალურ-ტენდენციური მიმართულება.

ამის დასამტკიცებლათ მარეყივან რამდენსავე აზრს წ. სკანდელის კრიტიკისა გლახის ნაამბოზის შესახებ.

ამ მოსირობას—ამბობს წ. სკანდელი უფრო ჭვეენის მწერლების (გრაფორაიისის, პოტკინის და პისკისის) გუჯეხა ატყეია...

„რამი მდგომარეობად ამ მწერლების ნაკლეჯენება?—, მათი ნაკლეჯენება იმაში მდგომარეობდა, რომ

ისინი გლეხ-გლეხობას სსსაგდენ ისე, თითქოს წინ ნამდვილი გლეხი ვი არა, მათი საკუთარი თავი ჰყოფდნენ. გლეხ-გლეხურ ფარებაში გამოხატული. მკითხველის წინ ნამდვილი, ცოცხალი გლეხის მკითხველი იდეა ნასწავლი გლეხურ სამოსელში, რომელიც თავის ნამდვილ ენას, თავის საყოველთაო დაზღეს და აზრს ვი არა, გაზრდილებულ, წიგნიდან ამოკითხულ ბაიონის და შიდაგლეხის ფრესკის ამოხატა.¹

„ის სუბიექტული შეფერული, გაღმავლებული, ნასწავლი და ზემოთ მოღვაწე გლეხის, რომელიც ისეთ ნაირთა დაზღვაობა და იქნება, როგორც ილაზარეს, ან მოიქნება გერმანიის სანტიმენტალური მწერლობით გამოხატული გლეხი და როგორც თავის დღეში ვერ ილაზარესა ვერ ერთი მოხმადელი გლეხი, ან გლეხის ქალი.“
 „გლეხის ნამოსახ“ ატყუა ამ მწერლობის გაღვაწი, რომლის წარმომადგენელიც იყვნ რუსეთში გრაფროვინის, მდგომარეობი და სსსაგდენ — ეს ამბავი „შეკეთებულა“, „შეფერებულა“, 1) განკუთვნილი და გაღმავლებულია.“
 — ეს ნამდვილ ცხოვრებას არ ეთანხმება ლ სსსაგდენ.

ჩემის აზრით ესევე ნაკლი და ძალდატანებელი ტენდენცია ატყუა არამც თუ თ. ილ. ჰუბუბაძის პირველი ხანის თხზულებებს, არამედ თვით „კაცია აღმართი“ და მის „მგზავრის წერილებსაც“. მისი ლიტერატურაში და რედაქციის უფრო კარგიკატორას წარმოგიდგენენ ქართული მემბრისა და ქალბატონის ტიტულების, ეივრე ნეოლოგიური ხერხით წარმოშობილს, ცოცხალს, ერთნაირ ბუნებაში და გარემოებაში შექმნილ ტიპურ არსებებს.

II პოლიტიკო-ეკონომიურ თეორიაში ამ წრემ გაატარა აზრები ბურჟუაზულ ეკონომისტებისა სესი და ბასტიასი²)

III საზოგადოებრივ წყობილების განვითარებაში გაატარა თავდაზნაურობის პატრიოტული პრინციპი³) წარმატებისა.

IV საკრედიტო დაწესებულებებში მან არჩია სათავად-აზნაურო და საადგილ-მამულო გველ-ვალიანი ბანკების დაარსება.⁴)

ასეთი იყო პირველი დასის მოძღვრება. გაათავა თუ არა მან თავის პროგრამის გამოხატვა და დაამთავრა თუ არა თავისი ახალი ხანა პუბლიცისტურ-ლიტერატურულ წინმსვლლობაში,

1) ისილე „კრებულა“ 1873 წელს, წიგნი ნ. 6.
 2) ისილე „საქართველოს მოამბე“
 3) ისილე „ცხოვრება და კანონი“ და სტატეიკი ხიზნუბის შესახებ.
 4) ისილე თ. ილ. ჰუბუბაძის შიდაგლეხი ნ. ნიკოლაძისთან „დროება“ და „Тифлисский Вестник“ 1875, 1876 წლებისა და შემდეგი.

მას შემდეგ გვიდა რამდენიმე წელიწადი და 1866 წლიდან გამოჩნდა ახალი უფრო პროგრესული მიმართება ქართულ ლიტერატურ-პუბლიცისტურ სფერაში. ამ დროს გამოჩნდა მეორე დასი, განსაკუთრებით თავი იჩინა ამ მეორე დასმა 1869-დან 1877-დე. ეს დასი შეგვხვდა და შეგვიზიარა „დროება“-„კრებულის“ რედაქციაში. ამ დასის ნამდვილი წარმომადგენლები იყვნ ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, კირილე ლორთქიფანიძე და პეტრე უმიკაშვილი. ამთვე შემოვირთა განკერძოებულთა მოღვაწე პოეტი აკაკი წერეთელი. ეს მეორე დასი იყო პროგრესიულ-დემოკრატიული მიმართულების მიმდევარი.

ამ დასმა განუწყვეტლათ იზრმა ერთთ მიეწილი ათი წელიწადი 1877 წლამდის. შემდეგ კი განაწილდნ და მოხდა მათ შორის დიფერენციაცია.

ტენიების გეგარათ რომ გამოეყოფათ ამ მეორე დასის პრინციპიალური მიმართულება, ცხადთ დავინახავთ, რომ ამ მეორე დასს სულ სხვა იდეალები შეჰქონდა ცხოვრებაში და ლიტერატურაში, ეივრე პირველ დასს ლეზინარტულ მიმართულებისას.

I) ხელოვნური, ან სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში მან დაარსა ნამდვილი, შეუფერავი, შეუცუთებელი რეალიზმი.

II) პოლიტიკო-ეკონომიურ შეხედულებაში ის ემხრობოდა უფრო პოლიტიკო-ეკონომისტის მილლის თეორიას, მაგრამ ცხოვრებაში ეს პროგრესიულ-დემოკრატიული დასი ბურჟუაზიას და მუშახალხს შორის გამწვავებულ ბრძოლის დროს უფრო იმ თეორიას ადგა, რომ სახელმწიფო კანონმდებლობითი ძალა უნდა შეეროოს ამ ბრძოლაში მუშათა კლასის სასარგებლოთ, რომ მან ალაგვის ძალმომრეობა ბურჟუაზიისათ.

III) საზოგადოებრივ წყობილების განვითარებაში ეს დასი უარს ჰყოფდა, როგორც თავდაზნაურობას, ისე დამალი ხალხის განკერძოებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერთი, რომელიშიაც თანასწორი უფლებით შედიოდნ ყველა წოდებები, არც ერთისკენ სასწორს არ ხრიდა, ხოლო დემოკრატიული, წოდებთა განურჩევლათ, საზოგადო წეს-წყობილება მიიჩნდა ასეთი ერთი შესაფერათ.

IV) საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის ეწინააღმდეგებოდა თავდაზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის დაარსებას. ამის მაგივრათ ის ურჩევდა მოკლე ვაღიან სამრწევლო ბანკების წეს-წყობილებას. ამასთან ამ დასმა წამოაყენა წინ სასოფლო და საქალაქო სამრწევლო კრედიტი და ერთი ამგვარი წერილობანი ბანკი კიდევ დააარსა იმდროს თფლისში წერილობან მოვაჭრეთათვის.

როგორც ხედავს მკითხველი, თუმცა ეს ორი დასი ორივე მესამეც წლებში გამოვიდნენ ლიტერატურის და ცხოვრების ასპარეზზე, მაგრამ ისინი ერთმანეთში ისე განირჩევიდნენ, როგორც ცეცხლი და წყალი და ლიტერატურაში მუდამ პრინციპიალურად იბრძოდნენ. ხან-დახან პრაქტიკულ ასპარეზზედაც მოსვლიათ ხოლმე იმათ ვამუყეებდნენ შეჯახება. 5)

1877 წელს გამოვიდა ჟურნალი „ივერია“ და დაიწყო მეორე ხანა ლუმიანტარული მოთავეის თ. ილ. ჭავჭავაძის მოქმედების ლიტერატურაში, მაგრამ მის ახალი აღარა წამოუყენებია. ჟურნალი „ივერია“ იყო გაგრძელება „საქართველოს მოამბისა“. შემდეგ მის ფრთებ ქვეშ მოაკლათა იმ ახალგაზღვრებამ, რომელმაც ჩვენს ლიტერატურაში უწოდეს „ტეტიათა მოტრფილოვ“ გუნდი, ანუ როგორც რუსის ლიტერატურაში მათ უწოდეს „ნაროდნიკები“. ამ გუნდმა ლიტერატურაში იგივე სანტიმენტალური მიმართულება განახლა გლეხებისადმი, როგორც ადრე ლუმიანტარულ მიმართულების დასმა, იმ განსხვავებები კი, რომ ამათი პრინციპი უბრალო განუეთარებელი ხალხის უფლების გადმერთება იყო. ისინი მხოლოდ ამ ნაწილს ერისას უწოდებდნენ ნამდვილ ვრათ, სხვა ნაწილი ერისა, თუ ვინმე იყო ქვეყანაზე, არ რწამდათ. ამათი მოთხრობები ნამდვილი შეილი იყვნენ „გლახის ნამბობისა“ ლ „ოთარაანთ ქერიისა“. იგივე ვახუთალება და სანტიმენტალური გაღმერთება განუეთარებელი ხალხის ტაგებისა, რომელნიც ისე არ იყვნენ ნამდვილი ცხოვრების წარმონაშობი ტაგები, როგორც არ იყო თვით „გლახა“ თ. ილ. ჭავჭავაძისა. ასეთმა ნათესაურმა მიმართულებამ ლუმიანტარული მიმართულების წარმომადგენლსა და ტეტიათა მოტრფილოვების ისინი შეათვისტომა ერთმანეთთან და ბოლოს თვით ტეტიათა მოტრფილოვნი დემოჩრდილენ უფრო ნიჭიერ განება-განეთარებულ და ცხოვრების ბრძოლაში გამოკდილ მეთაურს, ლუმიანტარული პრინციპის წარმომადგენლისა. იმათ შეისისხლ-ხორცილ ბოლოს არამც თუ იდეალი, თვით ვადაჩრებილ მაღალ ფრანგოლოგიური წინა „საქართველოს მოამბისა“ და „ივერიისა“ და სრულებით გაიქნენ, გადნენ პირველი დასის წყალში.

ამ სახით ქართული ლიტერატურის ახალ ხანაში, რომელიც იწყება 1861 წლიდან, ლიტერატურულ-კულტურულმა მოძრაობამ 1890 წლებამდის საკუთრათ ორი დასი წამოაყენა წინ: ერთი იყო ლუმიანტარული მიმართულებისა ილ. ჭავჭავაძის მეთა-

ურობით; ხოლო მეორე — პროგრესიულ დემოკრატიული დასი „დროება-კრებულის“ თანამშრომლებისა, რომელთა შორის 1877 წლამდის ირიცხებოდნენ აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვები.

ამ დასმა ახალ აზროვნების მიმართულებას გარდა, თვით მწერლობის ენაც ძირიანათ შეცვალა. მის ღრმდის არსებული მწიგნობრული, ძნელათ გასაგები, გადაპრებილი ლიტერატურული ენა ადვილ გასაგებ მდამბია ლიტერატურულ ენათ გადაქცევა, რომლისთვისაც დიდად გაბრაზდნენ მაშინდელი პარნასის მთის ღმერთები. თვით გრ. ოზბეგისა მთელი ტრაქტატი დაიწყო „დროება-კრებულის“ თანამშრომლების წინააღმდეგ; მაგრამ ცხოვრების პროგრესიული მსვლელობა ენის განვითარებაში, მის განმარტივებაში, ვერც ამ ბუმბერაზმა შეაჩერა.

1890 წლიდან დაშენა კვლავ ახალმა პროგრესიულმა სიომ. ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდა არა ჩვეულებრივი მიმართულების თითო-ორი ახალგაზდა, რომელმაც თვით ირინა „კვლამ“ 1893 წ. თავისებური პროცრამით. ესენი არიან ეკონომიკური მატერიალისმის თეორიის მამდგენნი. ამ დასის მეთაურთა სიტყვა-კამშულ ლიტერატურაში უნდა ჩათვალოს ნინო შვილი, ხოლო პუბლიცისტიკაში ნიკეორდანი.

ერთ მეორე დასის წარმომადგენელთაგან ბან გ. წერეთელს წილათ ხედა ყველაზე ადრე შეენიშნა ეს ახალი პროგრესიული მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში და იმანვე მონათლა ახალი ჯგუფი მესამე დასათ.

ეს ჯგუფი რომ ნამდვილ მემკვიდრეთ უნდა გახდეს მეორე დასისა, ანუ „დროება-კრებულის“ თანამშრომლებისა, ამას თვით ლიტერატურ-პუბლიცისტური ფაქტები წარსულისა ცხადთ ამტკიცებს. აი, რანიართ ახასიათებს 1873 წლის „კრებულში“ მამშინდელი მფეულტრანე კაბიტალისტურ წარმოების მომენტს, ამ ახალ მოვლენილ ქორ ვარამს საქართველოს ნიადგებე:

„ჩვენა ქვეყანა დიდი სხნა დამქვიდა და ქართლის სხლი ნადგა ისეკ თავის ჩვეულებრივ კადაპოტში, მიჭყო სელი გუდამაშვიდებათ უწინდელ სხნა-თესესას და ჩამქარ ისეკ თავის გოპუბში; მაშინ რდელსკ საქაროველოს ბურჯი და ლეაჟივის კარქა — თიფლისი — გაჟისო სხვა-და-სხვა რეჟელის სხლისით და შეიქნა არამც თუ საქაროველოს ერსა, მიიღე კავკასიის მილეკის სავაჭრო წერტილათ; მაქრამ ნამდვილათ ბან შეიქნა ამ ლეაჟივის და საქაროველოს დეკა-ქალქის ვანტრანე — ფეჟს-ტიტრულათ გადმოკარდინიდა, ოსმალეკისკან გადსუდი და გარტრეკული სოპუქია, რომელათგ ნასკვანი სუეჟის გან-

5) ისიდე „დროება“ — „კრებულის“ თანამშრომლებების პოლეკიკა თ. ილ. ჭავჭავაძისთან და ბეს. დოდოპერძისთან.

მაკლამში მუცელიც გამოადეს, სიმდიდრეც მოაბოკეს და მთელი ქართლ-კახეთის მიწა-წყალი, როგორც თეთი თფილისი, ზოგი დანაკუთრეს, ზოგი ფუღუმი დაიბრუნა. აი, რა მოახერხა მეფინცლამ მოგვსრემ, დატყმა ურსო მჭეენიდან გადმოკვრდნილმა უმიწა-წყლო ხალხმა“.

„აქ რაი რეინის გზა გახსნა და ქართლ-კახეთის მიწის მომუშავე ხალხს გაჭრბას კერ ასერეს; მამ კერნი მიმდგარს იმერეთის მეფინცლამ მოგვსრემ ხალხს. ახა, აქ თქვენ მიესიეთ ქართლ-კახეთისკენ ამ სავსტრო ასპარესს, ასლად იქ არის ბურთი და მოკლანი. ამ სსსტიკ დიდებულ ბრძოლამ ბურთის გასატანთ იმედი კიდევ არ დამკვრვთ. გაფუტეული და დონკამოლეული ჩვენითაჟდ-ახნაურობა ხომ კერ იკისრებს ამ ბრძოლას. ის ხომ თან-და-თან დარბდება და ქჭრებს. ამ ჟამით მსოფლიო ჩვენს მიუშ ხალხს შრომაშს. გაჭრბას, მსოფლიო ის იკისრს, იმის გაუღდის თაჟის დონის და გონების ძალა. სსქართლოას მომავალიც ამ ჟანით დონიერ ხალხსე ტრბალებს. მიერდილება ბურთი და მოკლანიც მომავალში მისია.“

„მით უფრო სარწმუნოს ეს ამბავი, რომ ის გონება-განვიითარებულნი და მშრომელნი ხალგაზდანი, რომელთაც უგდასე ბიძგობა მჭეენის ბედნიერება და მთელი ერთის კითხვადობა აქვთ წინ წაქენიებული, თავში დაუღებდნენ ჩვენ მშრომელ ხალხს.“

„ერთი მხრით ჩვენი თავად-ახნაურობის დასუსტება, დაქრბითაჟ და შერეო მხრით მშრომელი ხალხის სუფლას ჩაღება, იმისი წინსვლა კითხობიურათ, აი, ერთი დიდი სსსუტეშო ნიშნია: ან იმ დროისა, რომელიც გეიქადის ჩვენ გამარჯვებას“.


წუ დავიფიყებთ, რომ ეს სიტყვები წარმოითქვა „კრებულში“ შერეო დასის წარმომადგენელისაგან ამ ოკულა ხუთი წლის წინათ.

ამას შემდეგ რა ვასაკერია, რომ იმე მეროე დასის, სე იგი „კრებულ-დროების“ წარმომადგენელმა პირველათ აილო აილო სალიტერატურო ასპარესზე მესამე დასის მოკლენისა; არც ის არის ვასაკერი, რომ შერეო დასის წარმომადგენელმა თავის ნამდვილ მეგვიდრეს—მესამე დასის წარმომადგენლებს—გალეშალოს ერკლათ თავისი ორგანოს ფურცლები. ასეთ ამბავს მხოლოთ ის ვერ გაიგებს, რომელსაც არც წარსული ჩვენი ლიტერატურისა შეუსწავლია და ვერც ახლანდელი გარემოება ჩვენი ცხოვრების მისწავებისა შეუკნია.

მხოლოთ ასეთ უნიდაღო ახალგაზდას შეუძლია გულის სიმწარით წამოიბახოს; „მესამე დასელებმა ბ. გიორგი წერეთელი (რომელიც ყოველთვის გარკვეულ გზას ადგა თავის მწერლობაში) თავისებურათ

მოარჯულესო, მათი მეთაურობა აკისრებინესო და მისი ყურნალოც მთ დაუსაკუთრაო“.

ბ. კიტა ამაშიდეს რომ კარგათ ჰქონოდა შესწავლილი წარსული მოძრაობა ჩვენი ლიტერატურისა, უტყველოთ უფრო სამართლიანათ გამოთქავდა თავის აზრს. ის იმას კი არ იტყოდა, რომ „გ. წერეთელი მესამე დასელებმა მოარჯულესო“, არამედ გიორგი წერეთელი, როგორც წარმომადგენელი შერეო დასის კულტურული თაობისა, დიდი ხანია, მოგლოდა მესამე დასს და კიდევ მოუტედაო.



სხვა-და-სხვა ამბავი.

მერას, ონ ნოემბერს არის დანიშნული თ. ი. გ. ქაქვიძის საიუბილეო კომიტეტისაგან საზოგადო კრება თეაო-ახნაურთა ბანკის დარბაზში. კომიტეტმა დაახლოვებით შეადგინა შემდეგი პროგრამა: იუბილეო უნდა იყოს გამართული ვახაუხულზე, მისში. (თუმცა ზოგნიერთი კომიტეტის წევრნი იმ აზრს ადვიან, რომ ახლაც, ამ ზამთარში გადაცინადოთო) დიდუბის ეკლესიაში წირვას და პარაკლისს შემდეგ ქართულ თეატრის დარბაზში იქნება მილოცვა და საღამოზე გამართება ან ქართული წარმოდგენა და სალიტერატურო საღამო, რომლის შემოსავალი დანიშნება იუბილიარის სახელზე სტიპენდიანტის შესანახათ. იმენია ჩვენი საზოგადოება ამ კრებას ბლომთ დაესწრება.

* *

სამი-ოთხი წელიწადია რაც ჩვენმა მხატვრებმა შემოიღეს გამოფენის გამართვა. ყველა თავიანთ ნახატებს თავს მოუყრიან სამხედრო მუზეუმში და სამსჯავროთ ვადაუშლიან საზოგადოებას. დიდი-პატარა მიეშურება ხოლმე და ყველა თავის გემოვნების ნახატებს აქებს და ტყებმა, რასაკვირველია კრიტიკასაც არ აკლებენ. როგორც ანგარიშიდან ჩანს 25 ოქტომბრამდის ამ გამოფენაზე დასწრება 9600 კაცი. შემოსავალი ყოფილა 900 მანეთი. გამოფენა ვასტანს ნოემბრის დაწლებამდე. დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ საქმის მოთავენი.

* *

9 ნოემბერს დაიწება ქართული სახალხო წარმოდგენები ერავთ წოდებულ „ქაქვიძის სასაღილოში“. პირველათ ითამაშებენ გ. ერისთვის პიესას „გაყრასა“. შენობა კარგათ არის მოწყობილი და შეიძლება თეში ორჯელ წარმოდგენების გამართვა, ახლა მხოლოთ ჩვენ ინტელიგენციამე დამყარებული სა-

ხალხო თეატრის მაწყობა. იმედია, ჩვეულებრივ, მალე არ აიყრის გულს და ღირსეულათ გაუძღვება ამ საქმეს.

ავლაბარს კარგი დღეები მოეღოს. სამკურნალო, სასწავლებლები, საკითხველოები, საკერაო სკოლა, საკუთარი აქვს რა ახლა ცდილობენ გამართონ ადგილობრივ ცეცხლთა საქრობის რაზმიც. გარდა ამისა ხმოსანს ა. ა. ბაბოვს შეუტანია ქალაქის გამგეობაში მოხსენება, რომ ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსება საქროაო და მოჰყავს აუარებელი სტატისტიკური ცნობები ამის შესახებ. სხვათა შორის ჰმობს, რომ წელს გენაზიებში შეეღა 343 ყმაწვილი მგტი შარშანდელზე და კიდევ მიღების უარი 600 ყმაწვილს უთხრეს უადგილობის გამო. მისი სიტყვითვე ავლაბარში და ნათლულში 30 000 მკუარებეღია. ე. ი. იმედია, რამდენა ზოგიერთ საუბერნო ქალაქებშია, სადაც გენაზიები არსებობენ. ავლაბარი მეტათ დაშორებულა გენაზიებს, არც გზები ვარა, მეტადრე ზამთარში, მაგრამ მიინც ავლაბრიდან 150 ყმაწვილი სწავლობსო და სხვა...

ბაქოში გადაცელილა ვაზეთ „ქასის“ რედუქტორი ნ. ა. სოკოლინსკი.

ქალაქის გამგეობა აპირებს 1598 წ. ვახსნას სამი პირველ დასაწყისი სასწავლებელი. ამ სკოლების შესანახათ სპირო ფული 4,353 მ. უკვე შეუტანია ხარჯთ აღრიცხვაში.

ქართული თეატრის ამხანაგობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ საზოგადოება მიზიდოს თეატრისაკენ; დამენ ნათარგმნ პიესებს, დამენ ორიგინალურს, დამენ დრამებს, მელოდრამებს, კომედიებს, ფარსებს, მომზადებისათვის ძალას და ღონეს არ იშურებენ, ერთი სიტყვით უღვეველ მოათინებას იჩენენ, მაგრამ... არც საზოგადოება რჩება უკან და ისიც უღვეველ გულგრილობას იჩენს...

30 ოქტომბერსაც თეატრი ჩვეულებრივათ თითქმის სულ ცარიელი იყო; კიდევ დიდი ნიჭის პატრონები არიან ჩვენი მსახიობები, რომ ხალხის არ ჰქარავენ და მიინც გატაცებით თამაზობენ, თუმცა მაყურებლები მავიერთა ცარიელ სკამებს ხეღვენ. ამ წარმოღვენამ („სამინელი შურისძიება“) სწორეთ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე; მსახიობები ჩინებულათ იყენ მომზადებულთ, როლები ყველას კარგათ ჰქონდათ ვაზეპირებულთ, რაც მიინც-ღამინც

ხშირ მოვლენას არ შეადგენს ჩვენ სცენაზე. ე. აბაშიძე, კ. შესხი, გედევანოვი და ქ. ჩერქეზიშვილისა ჩვეულებრივათ შეუღარებელი იყენ; კარგათ თამაზობდენ აგრეთვე კ. შათირიშვილი და ბ. კანდელიკი, რომელც საზოგადოათ ყოველთების სტინილისიერთ ასრულებს თავის როლებს. დანარჩენიც ხელს არ უშლიდენ „ansemble“ ს, თუმცა არ შევიძლია არ ფურჩინათ ქ. როინელს, ჯერ ქართული ენა შეისწავლოს და მერე გამოვიდეს ქართულ სცენაზე. უთუოთ, ენის უცოდინარობის ბრალია, რომ ეს ახალგაზდა ქალი ისე უხერხულათ გრძნობს თავის თავს სცენაზე, რომ ყველას გულში ანატრებინებს, ნეტავი მალე წავიდოდეს და ტანჯვას გადარჩებოდესო.

ამ წარმოღვენამ ერთხელ კიდევ დაკვიტოცა, რომ ჩვენი მსახიობები კომედიებს და ფარსებს ბევრათ უკეთ ეწყობიან, ვიდრე დრამებს და ტრაგედიებს, თუმცა სასურველია, რომ კომედიებიც უფრო შინაარსიანი იყენ ამორჩეული; მიველი ოთხი მოქმედების განმავლობაში საზოგადოება სიცილის მეტს არას აკეთებდა, თუმცა მერე რომ გეკითხათ, ერთიც ვერაინ გაამბობდათ შინაარსს, თავში არავის არაფერი არ დარჩენია.

დასასრულ გრ. აბაშიძემ საუცხოვოთ წაიკითხა რამდენიმე თავისივე ლექსი, წაიკითხა სცენები ადამიძემ და იმერერს კუბლეტები „ვი, ვი“ აბაშიძემ რე გედევანოვმა. საკვირველია, რომ ამდენი ხანია სულ ერთი და იგივე სცენები და კუბლეტები იკითხება ქართულ სცენაზე; ნუ თუ ახალის არაფრის შესწავლა არ შეუძლიათ არც აბაშიძეს, არც გედევანოს და არც ადამიძეს?

ჩვენ მოვივიდა ახალი წიგნი რუსულ ენაზე თხზულება ვაბ. სუნდუკიანსისა „Снырви“, კომედია ხუთ მოქმედებათ, თარგმანი სომხურიდან. აეტროა უცნობი არ არის ქართველი საზოგადოებისათვის, მის პიესებს: „ხათაბალას“, „პეპოს“ რე სხვებს ხშირათ დაუტკბია ჩვენი ესტრეტორი გრძობა. ეს კომედიაც არის ქართულათ ნათარგმნი და არც მოკლებულია სასცენო ღირსებებს. წიგნი სუფთათ არის გამოცემული, 90 გვერდი და ღირს 75 კაპეიკათ.

გამოვიდა მესამე წიგნი „კრებულისა“. ეს წიგნი ბევრათ უფრო საინტერესოთ შედგენილია ორ წინანდელ ნობრებზე. სხვათა შორის იქ არის მოთავსებული ჩინებული ისტორიული ამბები. არ შევიძლია არ მოვიყენოთ აქ ზოგიერთი მათგანი: „იმერეთის მევემ, დიდმა სოლომონმა, ქაჯაიას ნაქერივა-

ლის ცოლათ შერთვა მოიწადინა, დიდკაცობამ იუკადრისა: ზოგმა მოახსენა—მხინჯიაო, ზოგმა კოკლიაო, ზოგმა ბრუკიანი, ზოგმა ყრუ და ზოგმა ბებერია, უტბილოო. მეფემ დაიბარა გიორგი აბაშიძე ჭგავნდო: წადი ნახე ის ქალი და თუ გიყვარებ კარგად დამითვლიერეო. აბაშიძემ ასრულა მეფის ბრძანება; ქალი ჩინებული გამოდგა, მაგრამ ქვეყნის ყბაში თავის ჩაგდება ველარ გაბედა და მოატყუა მეფე, სხვების ნათქვამი იმანაც დამოწმა. ერთხელ მეფე სანაღიროთ ბძანდებოდა: ააფრინეს ხოხობი, მიუტყვის

ქარი, მაგრამ ფრინველი თვალსა და ხელს შუა სადღაც მიიმალა. ეწყინა მეფეს და გამობრუნებას აპირებდა ქუთაისისაკენ, მაგრამ ამ დროს წადგა მის წინ ეილაკ ახალგაზდა და მოახსენა: თქვენ რომ ხოხობი გავიფრინდათ ავერ გახლავთ ჩემ ვზოშიო. —მეფემ, მისი ბაზიერებით, შეაქენა —დაუწყო ძებნა, მაგრამ ხოხობი ეცრადნახა, მერე მიიხედა სახლისკენ და საჩემელთან მოჰკრა თვალი ერთ შვენიერ ქალს. —სად არის ბაეშო ის ხოხობი? მომატყუეო? — არა ჩემო ხელმწიფეო, — მიუგო ყმაწვილმა — ქაჯაიას გვარს მის დღეში მეფის



რომაელი მხატვარი ქალი.



სამოთხიდან განდევნილი ადამი.

თვის ტყუილი არ გაუბედნიარა. ის ხოხობი თქვენ რომ გავიფრინდით, აქ ვახლავთ, მაგრამ დარბაზს-ღებია ეშინიან და იმალეზაო.—მეფემ გაიღიმა, ცხენი გამოატრიალა და გაუღდა გზას. დიდ ხანს აღარ გაუვილია რომ ჯვარიც დაიწერა ქვრივზე. ერთ დღეს მოლხენით იყო მეფე, გარს დარბაზსლები ეხვიენ და გიორგი აბაშიძეც მათ რიცხენში იყო. მეფემ ჰკითხა მას: —შენ მაინც რაღა მოამატუყუე?—მე ტყუილი არ მომიხსენებია, ჩემო ხელმწიფე, მიუფო თაზაზთ გიორგი აბაშიძემ.—მაშ, ახლაც უშნოთ გიქვენება ჩემი მეუღლიო?—ახლა მზეთ უნახავი ბძანდება.—განა ენ შესაძლებელია?—რატომ არა, შენი ჰირიმე. მამათქვენი ალექსანდრე, რომ მიიცვალა და სავიფო ხელში ჩავივარდათ, მაშინ იმერეთი კოკლიც ვახლდათ, ყრუც, ბრძაც და კბილებ ჩაკციეულიც, მაგრამ დღეს კი ყველაფერი კარგათ ესმის, შორს ხედავს, ფეხებზე მაგრათ დვას და კბილებიც ამოუვიდა, რომ მტრის უტბინოს. თუ მთელი სამეფო ასე გამოაბრუნდა და გავკეთდა, რაღა ვასაკერველია, ერთი უბრალო აზნაურის ნაქვრივლის თქვენს ხელში ვაკეთებო.

მეფე სოლომონ მეორეს იმერლების ხასიათი არ მოწონდა და ერთხელ დაიჭინა: იმერლებს სიტყვა პასუხი არ უფარგათ და დარბაზსლობას ვერ ახერხებენ ქართლელ-კახელებივითო.—ნუ გამიწყრებით მავაზზე, და მე თუმცა თითარი იქაური ვარ, ვერ დაგეთანხმებითო.—მიუყო სოლომონ ლეონიძემ—მსაჯულმა. მეფე მაინც თავისას არ იშლიდა.—გამოეცადოთ, ბატონო, მავაზე ადელი რაღა არის.—მეფემ კბილის ტყვილი მოიკანა და ყბა აიხვია. შემოვიდა სვიმონ წერეთელი და მოაწყენით რომ ნახა ყბა ახვეული მეფე შეჰკადრა:—რა დაგმართინათ ბატონო? კბილები ატყვიდაო უპასუხა მეფემ.—წერეთელი შეწუხდა და მოახსენა: არა გიშავებო, შენი ჰირიმე, ქარს გაუკრავე და ვადავგილისთო.—კი, მაგრამ არ ვაკვირსო? კიდევ ჰკითხა მეფემ.—რა ვასაკერვლია, შენი ჰირიმე, ეგ სულ თქვენი მოუსვენარობის ბრალია; აქეთ ხვანთქარსა ჰკებნით, იქით ყენსა და ან აქამდე რაგორ შეგჩნათ ეგ კბილებიო.

იმ დროს მეფის კარზე იმყოფებოდა ქართლელი თავადიშვილი—ამილახვარი და ის შემოაყვანიდა მეფემ. შესჩილა, კბილები მტკიანო. სტუმარს მართლა ეწყინა და თავის ქნეით მოაახსენა:

—მართლა? აიხე! რა უსიამოვნო საქმე მოგსეულიათ! თავსხლავი კი დავასხი მაგსთანა კბილებს, ი ოხერი სატყვიარი, მაინცა-და-მაინც თქვენთანა რომ არ მოსულიყო სხვას ვეღარავის გამოაზნავდებო?—აკრ მოვახსენეთ, ახლა რაღას ბძანებთ?—ღმილით ჰკით-

ხა ლეონიძემ. მეფე სოლომონს ეწყინა და ბძანა:—დარბაზსლორ სიტყუეს ისე ტყუილი სიმართლე სჯობსო.

ქართველი ფრანგების საქმე.



აზ. „კავკასიში“ დაისტამბა შეენიერთ დასაბუთებული სტატია ქართველი ფრანგების შესახებ ბანი იზაშვილის. მკითხველს ეცადინება, რომ ამ ბოლოს დროს ქართველი ფრანგები, სარწმუნოების მხრით, მეტათ ცულ მდგომარეობაში ჩაეარდენ. სომხის კათოლიკებმა აღძრეს დევა და კიდევ შეისრულეს თავის წადილი, რომ ქართველი ფრანგები შერიცხული ყოფილიყვენ სომხის კათოლიკებათ. ამას მოჰყვა დიდი სამშუხარო მდგომარეობა ქართველი ფრანგებისა იმის გამო, რომ სომხის კათოლიკების სამღვდლოება ჩვენ ფრანგებს ძალა ატანენ წირვა-ლოცვა სომხურ-ლათინურათ. ასრულიონო. სომხის კათოლიკები ამას კიდევ არ ჯერდებიან, იმათ უნდათ ჩაიკლან ყველა ჩვენი ფრანგების ეკლესიები და მათი ქონებაც სომხის კათოლიკის საღვდლოების ხელში უნდა გადავიდესო, დიდათ შეწუხდენ ჩვენი ფრანგები ამით. მამა-პაპიდან დაწყებული ჩვენი ქართველი ფრანგები ზოგიერთ ღვდელ-მსახურებას და ლოცვებს თავის სამშობლო ქართულ ენაზე ასრულებდენ; ამას გარდა ძველადგანვე შეძენილი საეკლესიო ქონებაც მისთვის ჰქონდათ, რომ უზრუნველ ყოთ ყოველგვარი ეკლესიის სპირიტუა და ეკლესიასთან რომ სასულიერო ქართული სკოლები ჰქონდათ განართული, ისინი ე'აზრდებინათ. ახლა სომხის კათოლიკები ითხოვენ, რომ ქართულათ ნუ ლოცულობთ, სომხურათ ილიოცეთო და სკოლებშიაც სომხურ ენაზე ასწავლეთო. ქართულ ფრანგებს ვერ გაეგოთ, საიდან მოხდა, რომ ასეთი განკარგულება ნება-დართული იქნა მთავრობისაგან.

მაგრამ, როგორც ჩანს ბ-ნ იზაშვილის სტატიიდან ჩვენი ფრანგების მწესბარებას მალე ბოლო მოეღება, რადგან უმაღლეს მთავრობას ახლა ხელთ აქვს საქმეო მასლა, რომლითაც ცხადათ მტკიცდება ძალ-მომხრება სომხის კათოლიკებისა და ასეთ არა სასიამოვნო მდგომარეობას ბოლო უნდა მოეკლს.

ავაზაკობის შესახებ საერთო ბაასი.



მ თვის 25 თფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში მოხდა კავკასიის სამოსამართლო საზოგადოების სხდომა. თავმჯდომარეთ ალი-რჩიეს თფილისის გუბერნატორი ბიკოვი. სხდომაზე დაესწრენ მთავარმართებელი თ. გ. ს. ვალიცინი, მისი თანამემწე ა. ა. ფრეზე, საოლქო ინტენდანტი ტარანოვი და მრავალი პატივცემული მთავრობის მოხელენი.

სხდომის ყურადღება იყო მიტყული ბ-ნი ნაფიცი ვეილის ფრენკლის მოხსენებაზე, რომელსაც ისტორიული მასალა შეეკრება, თუ ჯადონისძიებთ გზობდა უწინ და ახლა რუსის მთავრობა კავკასიაში ავაზაკობას. თუმცა არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბ-ნი ფრენკლის მოხსენება ყოფილიყოს პირუთენელათ და მიუღდგომელათ შედეგითი, მაგრამ შიგადა-შიგ ვინც ჩაუყვირდებოდა მის მიერ მოყვანილ ისტორიულ დამტკიცებებს, ცხადთ გამოარკვევდა იმ აზრს, რომ კავკასიის ხალხის უზრუნველ ყოფა ავაზაკებისგან დამოკლებულია ახლანდელი სამოსამართლო და ადმინისტრაციული წესწყობილების შექვლაზე თანახმით თეთი კავკასიის ხალხების ისტორიულ-კულტურული ხასიათის, დებულებისა და ზენიეეულებისა. ყველაზე უფებარი წამალი კავკასიაში ავაზაკობის მოსპობისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩქარი და დაუყოვნებლივი სამართლის წარმოება იყოს, მოსამართლენა იყონ თეთი ხალხადან აპორჩეულენი, ადმინისტრაცია ლობიერათ ემტყოდეს ხალხს, მთავრობა შეეღდეს ხალხის ცუდ ეკონომიურთ მდგომარეობის განხილვაში, გააუფუძობესოა ეკონომიურათ მისი ცხოვრება და ეცადოს ხალხის განათლების გაძლიერებას.

პროვინციის ქებათა-ქება. *)

მიიდან დაიძრენ სეკურნი
დასბრგულ ვორუკებიან;
ჩინ მოუძღვიან ჩინდნი
ვეელა ფრით და სმელაითა.
სად მიდის ნეტლე დაშქარი?
ვორუკებს რად ჰქვიადა?
დაშქარს გგონათ?! მოსტყუვდით,
წუთი სოფელი ფელიდა;
ვორუკების საზაღნე
ერსოს გუღუმი დიდა.
გამოვლეს დათვისის ჭვდა

*) ის. რაგელი, № 45.

გამოვლეს ორწყუდს ხიდა,
წყურვალს¹⁾ ორ-ფესის მარტოქენ
იმისი ვალი ჰქვიადა.

ეს სხვა ორ-ფესამ შეიტყო
გბდი გაჯვრდა მშვიდაი:
„მე რა მაქვს დანაშაული
თქვენ ტრფობას გუღუმი ვჭრდიდა?
სულ წამოდიეთ ძქენა
„ხეუსურეს ერბო ვადეა?
„მე რომ მიგოწუხეთ, ცნოვლეთ,
საქმე მოგვით ფინთია;
სად გავრნიდა ჰურის მიგუქვალს
„წისქვილს არ ერგოს მინდაა?!

ატირდა ჩაფარათ გროვა
მოთქვამს ზანს ზარანათა:
„ნეტავი თავზე დაგბრქვს
„მთა დლეუ, პარანათა.
„ეს ჩვენი ჟამაგირები
„შამეირდა გვარანათა.
„გაფუჭდა ჩვენი ცხოვრება
„და სმელუი ტარანათა.
„რისთვის გვიტრან ჟამაგირს
„სულ ვეუწუთ სთორანდა?
„გაგწუდიეთ, თორემ გატერქენ
საქმე მოგვივა ცუდათა;
„გუღუმი ჩავიკლათ ნაღველი,
„დაუსდეთ, ვიტირთ მუშათა.

ატირდენ მეღუქნები,
თანც ფრადა წურებიან:
„წვიდა ძველი სეირი
„დავიღუშენით ერთიან:
„მიიარეთი რამე, დასაწუთ, —
გამვლელეს გვედრებიან.
გავატრებული საღია
ვისდა რად ეფერებიან?!
„გაუშვებას²⁾ გაიმასკენ,
ძღვარც გვეტრებიან.

ნეტლე რათ გაჭვირებიან
„გაუშვებას²⁾ ობლისა.



1) ერბო.

ბეგნი ვეპა ხიდა,
ზღა ღვას მის ცრემლის, ოფლის;
სიტყვატ სუჟარ შუკატე
თავის კეთილის მყოფლის!

გვჟ-ფ შუკელა.

განჯის „მთარგმნელთა საზოგადოების“
გამო.



ოგორც უკვე მოგხსენებთ მკითხველებს, ბ. გენძეხაძის წერილმა „კვალში“ განჯის „მთარგმნელთა საზოგადოების“ შესახებ, მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ბ. დოლიძის და „ვალენტინის“ თხოვნისამებრ საქიროთ მიმართა გავაცნო საზოგადოებას ამ საქმის ვითარება-გარემოება.

მოგხსენებთ მკითხველნო, რომ როდესაც კაცი „გონებრივ და საზოგადოებრივ“ მოძრაობის და მოქმედების ცენტრს შორდება (ესეთ ცენტრთა კერძოთ ჩვენ, ქართველებისათვის, თფილისი მიგვიჩინია) და „პროვინციაში“ (თფილისთან შედარებითა ეხმარობთ ამ სიტყვას) ხედება ცხოვრება, მაშინ ის ხშირათ, ისეთ გარემოებაში ღ წრეში ვარდება, რომ მისი ცხოვრება უფერულთ, გამოუსადეგართ ხდება. და თუ პროვინციაში მცხოვრებს მამულისა და მოძმისაღმა საკეთილდღეო მოქმედება მოთხოვნილებათ არა აქვს გარდაქცეული, მაშინ ის ნება-უნებლოთ, ხშირათ თავ-და შეუშინეგლათ, უსაქმობით, ცუდ-უბრალოთ კარტიბილიორდ-ნარდობანაში და სხვა შეუფერებელ და კაცის დამამკირებელ მოქმედებაში ატარებს თავის წუთის სოფელს. საზოგადო ინტერესებზე ფიქრი მას მწვანე მუდიან სტალზე გადაქვს, ან არა და თუ სამსახურში მყოფი პირია, მაშინ ის თავის სამსახურს გარეშე აღარას ფიქრობს. მისი ფიქრი და აზრი ერთის მიმართულებით არის გატაცებული: უმფროსის მხედველობაში ჰყავდეს, ჩინ-ორდენებზე წარადგინოს და სხვა. ისეთ დიდ ქალაქებში, როგორც არის, მაგ., ჩვენი თფილისი, კაცი ხშირათ, თავისდა უნებურათ მუშაობს, მოქმედებს. მას საზოგადოების საერთო აზრი, მიმართულება იტაცებს, იზიდავს თავის მორგეში და მოქმედების გზაზე აყვებს. ამნაირათ ის ქუეკა შრომას საზოგადოების საკეთილდღეოთ და ხდება საზოგადო მოადეწით. პროვინციებში კი უმეტეს ნაწილათ ასეთი საზოგადოება არ არსებობს, ამისათვის — ეკრძო, უინიციატივო პირთათვის ნიადგი არ არის ზოლმე მო-

ზადებული და ესენი არა სასურველ მიმართულების ხდებიან. ბეგნი პროვინცილნი ძრიელ სასარგებლო საზოგადო მოადეწენი იქნებოდნენ, რომ შესაფერ წრეში ჩაეარდნილიყვენ.

განჯელი ქართველობა და შორებულნი ვიყავით და ერთ თარამც თუ „გონებრივი და საზოგადოებრივი“ მოძრაობის ცენტრს, თფილისს, არამელ სამშობლო ქუეყანასაც, მაშასადამე გარემოება ყოველთვის უფრო ხელს გეწყობს, რომ გადაგვარების გზას დაეადგეთ. საით მიდის ეს გზა, ეს ხომ შენც მოგეხსენება მკითხველო. ასეთი არა სასურველი მომენტის დადგომა რომ თავიდან აეციელებინა, ჩვენ განვიზრახეთ ერთმანეთისათვის ისეთი „რეტლიგენტური“ შრომა გავგეჩინა, რომელსაც ერთი მხრით ჩვენთვის მოეტანა სარგებლობა და მეორე მხრით — ჩვენი საზოგადოებისათვის. ესეთ საქმეთ, სხვათა შორას, დავინახეთ ზალხისათვის ადგილ-გასაგება და სასარგებლო სამცენიერო წიგნაკების თარგმნა და ბეჭედა.

ყოველივე ზემოაღნიშნული გეკონდა მხედველობაში, როდესაც „მთარგმნელთა საზოგადოებას“ ვაარსებდით, ახლაც ამ აზრს ემსახურება ეს „საზოგადოება“.

ბ. გენძეხაძე გვისაყვედურებს, ფულებს გვართმევენ და „საზოგადოება“ არას აკეთებსო. რამდენათ სწულჯიან საწერო ფულის შეტანით, ამისი პასუხი ბ. დოლიძის საპასუხო წერილშია. ჩვენ აქ „საზოგადოების“ მოქმედების შესახებ მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას.

თვითონ ბ. გენძეხაძე გვიამბობს, რომ „მთარგმნელთა წრე სამსახურში მყოფთ პირთაგან შედგებაო. ამ პირთ არა აქვთ იმოდენი თავისუფალი დრო, რომ წიგნების თარგმნა-ბეჭედვას მიჰყარ ხელიო, სრული ქუშპირიტებაა, ცოტა თავისუფალი დრო მოეპოვებათ. მაგრამ აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანო, რომ საზოგადოება თავის დანიშნულებისამებრ ვერ იმოქმედებსო? არა, ბატონო, თქვენ გავიწყდებათ, რომ დედა-აზრი ამ „საზოგადოებისა“, როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, წიგნების თარგმნა ბეჭედა არ არის. ცოტა თავისუფალი დრო გეცქვს, მაშასადამე მალ-მალე წიგნებს ვერ გამოეცემთ, მაგრამ ადგილათ შეიძლება „საზოგადოებამ“ მიზნს მიადწიოს. წიგნების დაგვიანების მეორე მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის, რომ ხელთ არა გეკონდა საქირო ბროშურები, ეცილოდით ეს გარემოებაც თავიდან ავიცილოთ. მესამე — არ ვიცოდით, რომ ზოგიერთი ბროშურები უკვე თარგმნებოდა; სანამ ჩვენ გავათავეთ წიგნაკების თარგმნა, სხვებმა უკვე დაბეჭდეს. ეცდებით, რომ ეს გარემოებაც შეზღვევისათვის თავიდან ავიცილოთ.

აი უმთავრესი მიზეზებია „საზოგადოების“ ვითომ და „არ-მოქმედებისა“.

რაიცა შეეხება ბ.ბ. „ვალენტინის“ და გენძებაძის სურვილს (იხ. კვალი № 33) „ახალ-მკითხველთან“ შეერთების შესახებ, ჩვენ, ამისი წინააღმდეგნი ვართ. ამის საბუთი, ბ. დოლიძისა არ იყვის, ადგილობრივია. ზეით უყვე მოვიხსენიებთ, თუ რა აზრთ დავარსნეთ ეს საზოგადოება. ამ აზრისა-და-გვართუე უნდა იმოქმედოს მან. ვისც რომელიმე წიგნის გადართავებნა სურს, ის ამ წიგნს „ჩრევას“ წარუდგენს და თუ ამ უკანასკნელისაგან მოწონებული იქნება, მაშინ ის წიგნი ითარგმნება. თარგმანი წარედგინება „სარედქციო კომისიას“, რომელიც შეასწორებს თარგმანს და გადასცემს დასაბეჭდათ. ამ მხრივ მთარგმნელი (თუ მისი თარგმანი სულ უფერგისი არ არის) დაწმუნებულია, რომ მისი შრომა არ დაიკარგება. მაშასადამე, საზოგადოების უმთავრესი აზრი ხორციელდება, ახლოედება.

ჩვენ რომ „ახალ-მკითხველს“ შევეუერთდეთ, მაშინ ეს უპირატესობა ჩვენი საზოგადოებისა დაცული აღარ იქნება: ჩვენ მიერ მოწონებული წიგნი შეიძლება, ახ. მკ. “ რედქციას სრულებით არ მოაწონება, მაშინ შრომაჲც უკარგება, წიგნის თარგმნის ხალისიც, მაშასადამე, ევლარც „საზოგადოებას“ მიახვეს მიზანს. აი ეს „ადგილობრივი“ საბუთები. რაიცა შეეხება უნებნულ მდგომარეობას, რომელშიაც ჩავარდნილან ზოგიერთები, ვინაიდან აღარ იცან, რომელ საზოგადოებაში ჩაეწერონ, ამის შესახებ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოძალდე არავინ არის, „ВОЛЬНОГО ВОЛИ, СПАСЕНОМУ - РАЙ!“ რუსებისა არ იყვეს. როგორც ქუეამ ვაგიჟრათ, ბატონებო, როგორც საქმეს უჯობდეს, ამას თუ არ დაჯერდებით, როგორც თქვენთვის ჯობდეს, ისე მოიქცეთ. მაგრამ არა მგონია, მკითხველო, ჩვენმა საზოგადოებამ ვისმე დაუშალოს ჩაწერა ისეთ სიმპატიურ გამოცემულ ახ.ს., როგორც არის, ახ. მკ.“

დასასრულდ ორიოდ სიტყვა ბ.ბ. დოლიძის და გენძებაძის პოლემიკის შესახებ. დოლიძის მოქმედებაში უკანონობას ვერა ვხედავთ. ბ. დოლიძის საზოგადოებამ დაავალა წევრების შოვნა, საწევრო ფულის შეგროვება. დოლიძეს, რასაკვირველია, ნება არა აქვს მოკრებილი ფული სხვა დანიშნულებისამებრ დახარჯოს, საზოგადოება ყოველ შემთხვევაში ანგარიშს მოთხოვს. ჩვენი აზრით დოლიძეს მადლობის მეტი არა ეკუთვნისრა, რაკი ის საზოგადოების მინდობილებისამებრ მოქმედობს.

ქ. განჯა.

ვას. ჯავახიძე.

„მშვიდობა შენდა!“

(მ ო თ ხ ო ბ ა)

(დასასრული *)

III.



ეტარ არიან მთანი ნაზარეთისა, ნეტარ არს მიდამო ამ ოდესლაც უმნიშვნელო ქალაქისა იგი იმ ტყაბთ კვარცხლბეკათ უხლებოდა ღმერთ-კაც იესოს, იგი ღირს ქმნილიყო მისი ტარებისა...

გულ-ხელ დაკრეული, სერზე გადამდგარი იესო მიჰყულებოდა ფინიკის ხეს და ღვთაებრივი თვალებით იერუსალიმისაკენ გაიყურებოდა. შარავანდელი შემოსდგამოდა სახეზე და ისე ანათებდა, როგორც ცისკარი უკუნეთით მოცულ ცის კამარზე. წაწყმდილი კაცობრიობის საცნაწებლათ მოვლენილი ქეჭვის სულით და გონებით აცილებოდა ნაზარეთის ეიწრო მიდამოს და ურჩიანსათვის მიმოველო თვალი, ანგელოზნი იზიარებდენ მის ოხერა მწუხარებას, ცურნი ძალნი ფიანდაზათ ეშლებოდენ და დაუსრულეველი სიყვარულით აღსაქე გულით წუხდა ურჩისათვის დაქვეითებას, მის ურწმუნოებას, მის ძეთა ვერაგობას, მწიგნობართა და ფარისცველთა დაკნინებაჲ, ძეთა დადამისათა სულმოკლეობას და წინ დაუხედეობას.

— ოხ, იერუსალიმო, იერუსალიმო, გამქლევტო წინასწარმეტყველთაო! რამდენი ცოდვა მიგიძღვის ჩემის მომავლინებელის წინაშე? ნალღლიანათ თქვა იესომ და გალილიისაკენ მიბრუნდა... გაღარიბებული, იერუსალიმისაგან ყბათ-აღებული, გალილიას დანახვზე იესოს სახე გაუბრწყინდა და ღვთაებრივი კალთის ვადაფარება მოინდომა: „მოკვდენ ჩემთან ყოველინო ტანჯულნო და დამშკანდნო და ქე განგისყნოთ თქვენს!“ ლალაძყო გრძნობით ავსებულმა იესომ და მახლობელ ქეაზე ჩამოჯდა. ამ სიტყვებში გამოჰკრთოდა მისი ღვთიური მოწოდება და მის გაკონებაზე ცამ შუბლი გაიხსნა, აღმოსავლეთმა გვილიმა, ურჩისატანმა ნეტარებითა და იმედით ამოიფხვინა და მთვარე ზეცამდი ამამალეველი, კაცთა და ღმერთ შორის შუამავალი—ძე კაცისა იესო კი ღრმით დაფიქრებელიყო და შინ წასვლას არ ეშურებოდა...

ეძინა პატარა ნაზარეთს. არ ეძინათ მხოლოთ ხურო იოსებს და ღვდა მარიამს, ისინი იესოს მოლოდინში კლავ მუშაობდენ. ქეაზე ჩამოიჯდარი, მიწიერთა ზეცამდი ამამალეველი, კაცთა და ღმერთ შორის შუამავალი—ძე კაცისა იესო კი ღრმით დაფიქრებელიყო და შინ წასვლას არ ეშურებოდა...

*) იხ. „აგველი“ № 45.

IV

გამოუთქმელმა მწუხარებამ და უსაზღვრო ცნობის მოყვარობამ ორ-სამ დღეში შესამჩნევით ჩამოახშო საბინა პილატეს! პირველი ენებთა ლეღის ქარისხალი ახლა უცნაურმა ცრუ-მორწმუნეებმა შეცვალა, რადგან საბინას მიერ სხმარში ნახუბო ქაბუკის თვალები არ შორდებოდა. მუღამ თვალ წინ უღდა, მუღამ თავის ენ იხიდავდა! დილით საღამომდის ფანჯარას არ შორდებოდა, დაუსრულებლივ დაშტერებოდა ბრბოს, გამელოვ გამომელოვს, მაგრამ მაინც მისი ასავალ დასავალი ვერ გაიგო. „ეინ უნდა იყოს? ნეტა ერთი მაჩვენია!“ გაძიხარა გულ-დახურული საბინა და პილატესაც კი აღარ ეჩადებოდა. გულ-აბდილათ უცხადებდა, რომ იმ ჯაჟუკის ნახვის მოლოდინში სული ამოძივია. პილატე არ ჯავრობდა. მისთვის სულ ერთი იყო... ოღონც სიმდიდრე და დიდება არ დაჰკარგოდა!..

მოახლოვდა პასეჟი. ურიათა და ფარისეველთა ლოცვა-ბანაყ-გასუფთავების საზღვარი არ ჰქონდა. ხოლო მთელი ურიასტანი იგრუსალიშში იყრიდა თავს. პილატეს აზრავებდა ეს მოძრაობა და საბინას კი იმედს აძლევდა.

ერთ შევიწრო საღამოს, ოთხ ხელ-მარჯვე მონას მხარზე გაედევთ მორთული საკაცე, შივ ჩამჯდარიყო საბინა და ამ გვარად დასვირობდა ქალაქ გარეთ... ჩამავალი მზე ოპქოს ჯილათ დასდგომდა „ზეთის ხილის“ მთას. წყნარი ნიაყი ნახათ შოსისინებდა, ყვავილთა სუნენლბა მოჰქონდა ევლ-მინდორიდან და სამაგვიროთ აუარებელ ხალხის ქრიამულს უზიარებდა შორს გამაჟარ მთა-ბორცვებს.

— ოსანა ძესა დავითისასა, ოსანა! შემოცემა საბინას, და აზვირთებული ბრბო საბინასაკენ ბურთივით გამოკარგა. მალე ჯორზე მჯდომარე იესოც გაძიხარდა.

— ოსანა, ძესა დავითისასა, ოსანა! იმეორებდა ახლთ მიმატებული ჯგუფი ებრაელთა და ბზის, ზეთის-ხილის და ლერწმის ტრატებს ჰავრში ატრიალებდა. ზოგი ზედატანისამოსაც კი იხდიდა და მამავალ იესოს გზაში უფენდა...

სიხარული გამეფებულიყო ქვეყნათ. სიპართლის მალაღლებლის ცნობას მოსული ბრბო ფიანდაზთ ფენ-ქვეშ ემსუბოდა. ტებებოდა იესო სულით და მომავალი ჯვარცმა გადაეწყებოდა.

გაკივრებულმა საბინამ მონებს უბძანა შეჩერებულიყვენ, სწორეთ იმ დროს, როდესაც იესო დაუპირდაპირა და ლეთაგბრივი ღმილით გადახედა რომაელ დიდებულს... ამდენი ხნის ნაგრძობ-ნაფიქრი ზღვის ტალღასავით მოაწვა საბინას მესხიერებას! გაიხსენა სიხმართ ნანახი ჰაბუკი, შეადარა იესოს და

გრძნობა-გონება აფორიაქებულმა საბინამაც თავისდა უნებურათ შეჰღალადა.

— ოსანა, შევიწრო ჰაბუკო!
— მშვიდობა შენდა, მშვიდობა მთელ ქვეყანას! წყნარათ უბასუხა იესომ და ბრბოს გაჰყვა. საბინას გულის სიღრმემდის ჩაწვდა ღმობიერი ხმა იესოსი, მაგრამ იგი ვერ მიხვდა იესოს სიტყვის მნიშვნელობას. ვერ მიხვდა, ეინ იყო იგი, რა მოწოდებისა. ვერ მიხვდა, რომ აღფრთოვანებული ხალხი თავის ღმერთს მიაცილებდა!.. იგი მხოლოთ მიწიერ გულის თქმას შეეპყრო და ნეტებებ აშლილი უგრძნობლათ გადაესვენა საკაცებზე..

V.

ძლივს მოისვენეს ფარისეველებმა!... პირი შეუკრეს სიპართლის მღალადებელს, ჯვარს აცვეს, უდიერთათ აწამეს ღმერთ-კაცი იესო, მისი სისხლი საშვილი-შვილოთ კისრათ დაიდევს და დამშვიდებული გულით ცვლავ შეუღდენ ლოცვა-ვერებას... ხალხი დღელვასივით აწყდებოდა ტაძარს და გამარჯვებული მწიგნობარნიც უწმინდურა ხითხითით გოლგოთაზე უთითებდენ.

საბინას კი არაფერი გაუგვიარა. იგი ლოგინათ ჩავარდა; მხოლოთ ჯვარცმას შემდეგ მოიხედა და ფანჯრიდან გოლგოთის მთაზე ამართულ ჯვრებს რომ თვალი მოჰქრა, გაკვირებით შეეკითხა პილატეს:

- ეს რა ამბავია? აწამეთ ეინმე?
- დაიხ, საზიზღრებმა ჯვარს აცვეს კაცი მართალი და უმანკო.

მწარეთ შემოჰქენესა გულმა საბინას, თითქოს გული ლახერით გაუემირესო, მთლთ გაფთირებული წაბოვარდ ლოგინიდან და ფანჯარაზე გადადგა, რომ ჯვრებს უფრო კარგათ დაცქერებოდა.

— იესო ტებილო, იესო ჩემო!.. შემოცემა საბინას გულის გამეშირი ტირილის ხმა და თვალი მოჰქრა მომტირალ მანდლოსნებს. ერთი მთაკანი იესოს ძრიელ ჰგავდა, მისებრ შევიწრო თვალები და წაბლის ფერი თმა ჰქონდა და იგი უფრო სხვაზე მწუხარე იყო. დედა მარიამი თავის შვილს ტირიდა.

— ის უწამებიათ, ის! დავიყვრა საბინამ და მდულარება გადმოაფრქვია.
— ეინა? და ან შენ რა გატირებს? გულცივათ ჰკითხა პილატემ.

— ეინა და ეინც შენ აწამე. ვანა ვერ დაიხსნიდი? ის ხომ ეველასათვის მშვიდობის მოსურნე იყო. ტირილით უსაყვედურა საბინამ.
პილატემ მხრები აიწია, თითქოს უნდა ეთქვა, გიგი ხომ არ ეიყვირ ადილი დამეკარგავ; რომ დამეხსნა, გააუზნებული ბრბო ან მამკლავდა და ან კვისართან დამაბეზლებდა.

— ოხ, თქვე საზიზღრებო!... წამოიძახა საზინამ და მერე ქეითინით დაუმატა:—გაცივებ მის სახელს და ჩემ სიცოცხლეს იმ-ს ხსენებაში დავეცემა!...

ამაით ამშვიდებდა პილატე საზინას. იგი გამოუთქმელმა და ვანუქარებელმა მწუხარებამ შეიპყრო, სამუდამოთ გამოეთხოვა სულის-სამშვიდეს; ცის კამარაზე გამოქანდაკებული, გოლგოთაზე ამართული ჯერები კი საყვედროთ გადმოჰყურებდნენ იერუსალიმს, როგორც თვალსაჩინო მაგალითი გათახსირებული ფარისევლების მოქმედებისა, როგორც უკედელი ნიმუში ძალის-მეჭონთა დაუსრულებელი ცერაგობისა!...

პავლ.

უხანი (შავი ჭირი)

საქართველო ლექცია, წაითხული 14 თუბანჯალს ნოვაროსიას უნივერსიტეტის პროფესორ-დოცენტი ბარდუხის მიერ.

დასასრული *)

ქმა არ უნდა, რომ შავი ჭირის შემოსვლა ევროპაში ახლოც შესაძლებელია; შესაძლებელია სწორედ თუ ბევრათ ეპიდემიების გავლენა (გლახა ცენტრული პირობების გამო), მაგრამ არც ეპიდემიოლოგიური, არც ბაქტერიოლოგიური საბუთები ნებას არ გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ შესაძლებელი იყოს მძლავრი ეპიდემია.

ახლანდელი ავთომყოფების მოვლასთან, შეუძლიათ მათ განაეაღებ დენონეცტაცია მოახდინონ; შეიძლება ვაკრილი სიმსიენე ლიმფატური ჯირკვლები-სა უფრებელი იქნან ასეპტიური ხირურგიის საშუალებებით. მაშასადამე ავთომყოფი, თუ კი კარგს პირობებში მოხვდა, ვადამებობის წყაროთ არ შეიქნება.

მით უმეტესათ არის ეს მართალი, რომ ჩვენ ხელში იმყოფება უძლიერესი საშუალება შავი ჭირის საწინააღმდეგეთ—იერსენის შრატე.

მაგრამ სანამდის შრატე ექიმობაზე ვაღვიდოდეთ, გვიანდა მოკლეთ დეფაურათათ შავი ჭირით ავთომყოფი.

საზოგადო ღონის დაკარგვა; სიმძიმე და მკაცრი თავის ტუიელი; ვაფთირებული სახე; გაშვრებული მომაკვდელი გამომეტყველება; თვლები დაკუცეული, უაზრო ლაპარაკი, ბარბაკი. —ეს ნიშნები სუყველა უტებათ ეითარდებიან. ავთომყოფი გამოათყვანებულ

მდგომარეობაში იმყოფება და მოგვაკონებს სულ უკი-ლურეს სტადიას სიმფრადოსას.

ჩვენმა ხალხმა, ღიდი ხანია, ეს მდგომარეობა აღნიშნა სტყუით „დაჭირიანება“ (очухание); თვლები სისხლით ეცენა, თვალის კაკლები ფართოდებიან; ამას მოჰყვება ზმორება. ეს მდგომარეობა გრძელდება ხან რამდენსამე საათს, ხან დღე და ღამეს. შემდეგ მოჰყვება ვადამეტებული სიცხე; ავთომყოფი მომეტებული აღუღებულთა; უსიგდება ტუჩები და ენა, თეთრი, თითქმის ცარცის მსგავსი ხაო ეცერის ენაზე და ტუჩებზე.

ავთომყოფი ძლიერს სიცხეს გრძნობს წელე-ბში და კუჭში, ამგვარ მდგომარეობაში მას არ შეუძლია პასუხის მოცემა, თუცა სრული გონებია-ნია, რითაც ტანჯვა უძლიერდება. ბოლოს ღონე ეკარგება და მოარგეით გდია; ხშირათ ბოდაეს. ამ დროს ჯირკვლების სიმსიენე და ტუიელები მოუღის ბაყებში, ილღობ ქვეშ, კისერზე ქვედა ყბას ქვეშ. შემდეგში მე 5 8 დღეზე ან კვება ან და კარგ შემთხვევაში იწყებს ავთომყოფი ნელ-ნელა გამო-რთვებას.

ამ ჩვეულებრივი შავი ჭირის სურათის დამოუ-კიდებლათ, შენიშნულია ყოველივე ევადემაში ად-ელიო ემთხვევები. ავთომყოფი თითქმის ფეხზე არის, შენიშნულია მთელი ევადემიები ამ გვარი ადელი შემთხვევებისა. მაგ, ასტრახანის შავი ჭირი 1877—78 წ. ეტლიანის წინეთ:

შაქშან 96 წლამდის ისეთი უღონო ვიყავით შავი ჭირის წინააღმდეგ ექ-მობაში, როგორც ათასი წლის წინეთ გონკონგის საავთომყოფოში 94 წელს. იხოცებოდა 95% შავი ჭირით ავთომყოფებისა. მალე შავი ჭირის ბაცილის აღმოჩენას შემდეგ პასტე-რის ინსტრუტუმი იერსენმა, კალმეტმა და ბორჩე-ლემ სცადეს დიქტორ რუს ხელმძღვანელობით ცხოველების დაცვა (предохранить) შავი ჭირისაგან. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია მათი დაცვა, თუ რომ ტანში შეასხმენ შავი ჭირის ბაქტერიების წრბოლს. მასთან შავი ჭირით აცილი ცხოველების წრბოლი თავის მხრით რცავს და ჰყურნავს სხვა ცხო-ველებს.

მიიღეს თუ არა ამგვარი შედეგები, ამ მკვლე-ვარებმა მჰყვეს ხელი ცხენების დაცვას ესენი ძლიერ მკრძნობარენი არიან თეთი შავი ჭირის წრბოლისა.

როცა ცხენს ტანში შეასხმენ ამ წრბოლს, მას შემდეგ ცხენის ვამომთვლებას ერთი კვირა უნდება. რამდენჯერმე შეასხმენ ცხენს და მერე ორი-სამი თვის განმავლობაში „ცხენი მზათ არის“, შავი ჭირი ევ-ლარ ჰყავს. ერთი წყვეთა მისი წრბოლის საცმარისა რომ ჰყავს შავი ჭირი აღარ დემარტოს; შავი ჭირით

*) ის. „გვალი“, № 45.

ავითმყოფი თავი რომ მოეპოვებოდა, საქარა 20 წელით. რასაკვირველია ცხოველებს შემდეგ კაცებდაც უნდა ეცადათ შავი ჭირის წრბოლის აცრა. ეს კიდევაც მოხდა 26 თბათვის 1886 წ. ავითმყოფი განსლდა 18 წლის ჩინეთელი, გვართ ტბე. ძლიერი ცივება, თვლიმა, უკიდურესი დაღალულობა, სიმსივნე ჯირკვლებისა, პირის-ღება და ზოდება—ამ გვარი იყო დასაწყისი პირველ წრბოლით ექიმობისა. სულ ჰქონდა შესხმული ოც-და ათი წელით წრბოლისა. განსაკვირვებელი შედეგი მოჰყვა. დილით ავითმყოფი აცხადებს, რომ თავის თავს ძლიერ კარგათ გრძნობს:

„სრულებით კარგათ ვარა“. იგრსენი, რომლის თვლი არ დაბუჟებდა მთელი ღამის განმავლობაში, ამბობს, რომ ყველაზე უფრო თვით მე ვიყავი განცდივრებელი ამგვარი ჩქარა მოჩინებითა. ორ დღეს შემდეგ ავითმყოფი სრულებით გამომთვლდა. ამას შემდეგ იგრსენმა იხმარა წრბოლი ორ შემთხვევაში: 21 მორჩა და ორი მოკვდა.—

ამ ორი უკანასკნელის ექიმობა დაწყეს ძალიან გვიან—მეფეთ დღეს. თავის ღრაზე თუ მოასწრე, მეორე, მესამე დღეს წრბოლი სრულთ მოქცედობს. უმძინვარესი ნიშნები ჰქრბიან რამდენსამე საათში, სიმსივნეები იკარგებთან განცდივრებული ექიმების თვალ-წინ. გამოპროთვლება ხდება ჩქარა, ორე სრულიად უბრუნდება, მაშინ როდესაც უწრბოლით, მკირე რიცხვი ავითმყოფთა, რომელნიც რჩებოდენ, ერთობ ნელა და ძნელათ პოულდებოდენ.

უშეკელია, რომ ოც-დაექვსი შემთხვევა ექიმობისა—ერთობ პატარა ციურიანი დასამტკიცებლათ, მაგრამ, რა კი ერთხელ შავი ჭირის ძლიერ ფორმასთან გვაქვს 80% მაკრხად 7, 6% სიკვდლასა, რა კი ერთხელ წრბოლის გავლენას ქემ ავითმყოფობის სურათთ, რომელიც ათასი წლის განმავლობაში ერთგვარი იყო, აგრე საოკრათ იცვლება, და თითქმის რომ ყოველ შემთხვევაში იცვლება—ეს საოცარი დაბლი პროცენტო სიკვდლისა მძლავრი ქირისაგან უსათოთ წრბოლის უნდა დეუკავშიროთ. და ეს მით უმეტესათ, რომ ამგვარი შედგენი მიღებულია კიდევ სუსტო წრბოლისგან. ამ წამში რეუცილომას წრბოლის გაძლიერებას, მისი გაკეთების საშუალებების გაუმჯობესებას და არის გაწველიე საბუთი ევიექტოთ, რომ ის მოახერხებს მას

შავი ჭირისაგან პირუტყვების დაცვის ცდა გვადღევს ნების ეიქონიოთ იმედ, რომ შესაძლებელია ეინხმართო წრბოლი წინასწარ დასაცვათ. იგრსენმა თავის მახლობელ მიზნთ დასახა წრბოლის დამცველი თვისება. სრულიად კანონიერათ თვლის ის აცრას საუკეთესო საშუალებათ ავითმყოფობის განსაქარვებლათ, განსარჩენბლათ. მართლაც საკმაოსირა აუკრათ სუყველას, ეინც დასტრიალებს თავს ქირით ავითმყოფს, ან მთელ სახლობს, ან და სოფელს, სადაც იჩენენ თავს თითოეული შემთხვევები ქირისა (ეს კი თან და-თან ჩნდება ხოლმე) და მთელ ვარემგო მცხოვრებლებს ეყოფთ დროებით არ შემთვისებდეს შავი ჭირისას. ეს გვაძლევს ჩვენ საშუალებას მივიღოთ დიცხელი ზომები არე-მარის ვასამრთელებლათ და მით დავიცვათ შავი ჭირისაგან.

დასასრულ მე მსურს მივაქციო თქვენი ყურადღება იმ მიწყობობებს, სადაც კეთდებოდა იგრსენის საოკარი ამოიჩენა. ლაბორატორიით მას ჰქონდა უტებათ აწენებული საავითმყოფო ქაზი. მასალას (შავი ჭირით მკვდრებს) დიდი ვასაქირით პაულლობდა, ყოველ ნაბიჯზე დაბრკოლებას ხედებოდა, მაგრამ მიინც სძლია მან ყოველივე ვასაქირი. რამდენიმე წლით იგი საშუაბლო მხარეს განშორდა, შარშან დაბრუნდა პარისს, მაგრამ მოსასვენებლათ კი არა, არამედ სამუშაოთ, წრბოლის მოსამზადებლათ, და შემდეგ დაბრუნდება უკანვე იქ, სადაც მას იწოდებს თავისი მივალეობა. წრბოლით პირველი აცრა განსაცდელს უჯადა მისს სიკაცხლეს. რასაკვირველია ან არ შემდარკალა და მისწრაფებოდა თავის მიზნისაკენ, საუკეთესო ჯილოთ მის იყო მისთვის, რომ ჩინელები, რომელნიც უყურებდენ მას უმეცრების გამო, როგორც მტრის, პირველ აცრას შემდეგ მოსვენებას არ აძლევდენ ექიმობის თხვრებით.

ეს დღი გამარჯვება კაცობრიობის გენიისა, ათასი წლის სასჯელზე და ხალხის უმეცრებაზე, რომელსაც არ გმირად პირველათ საიდან მოსლიდა მას შეეძალა. კაცობრიობას და მეცნიერებას შეუძლიათ თავი იამაყუნ ამგვარი გამარჯვებით და მოღვაწეობით.

ოჯეს: სტუდ. სამ. შვიჯანა.

რედაქტორ გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

ქართული თეატრი.

სამთხ.გამს, 6 ნოემბერს 1897 წ.

ბენეფისი ქ. ჩრამპიწვილისა

ქართული დრამატული დასისაგან წარმოადგენილი იქნება პირველათ ახალი პიესა

გაღი მუსთალია

სცენები გლეხთა ცხოვრებიდან 5 მოქმედ. ოსს. 5 აქტ.

გ ა ზ ა შ ვ ი დ ა ს ა .

დასასრულ პირველათ ახალი პიესა

სამომხი წლის არშვიი

ოჯდევილი 1 მოქმ. ოსს. 7 აქტ. 5 აქტ. 5 აქტ. 5 აქტ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, კარგარელისა, საყვარელიძისა, ვარკოი, რჩეულოვისა; ბ.ბ. აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, აღამიძე, კორინთელი, კარბელი, საფაროვი, გვარამიძე, აბრამოვი და სხვანი.

ადგილებსი ფასი ჩვეულებრივია

დასაწვინი 8 საათო

რეჟისორი. გ. მესხი.

შხადღება „კულურ სანუკ“ „სიყვარული და ცრუმორწმუნეობა“ და სხვ.